



XVI^e Congrès de la Conférence des Cours constitutionnelles européennes
XVIth Congress of the Conference of European Constitutional Courts
XVI. Kongress der Konferenz der Europäischen Verfassungsgerichte
XVI Конгресс Конференции европейских конституционных судов

Synthèse / Summary / Kurzfassung / резюме

GÉORGIE / GEORGIA / GEORGIEN / ГРУЗИЯ

The Constitutional Court of Georgia
Sakartvelos Sakonstitutsio Sasamartlo

langue maternelle / native language /
Muttersprache / родной язык

საკონსტიტუციო სასამართლოების თანამშრომლობა ევროპაში

არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები

კითხვარი ეროვნული ანგარიშებისთვის

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ანგარიში

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ დანერგა არაერთი სიახლე ქართულ სამართლებრივ სისტემაში, მათ შორის განსაზღვრა ეროვნულ კანონმდებლობაში საერთაშორისო ხელშეკრულებების როლი. კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლის მხარეცაა საქართველო, არის ეროვნული კანონმდებლობის ნაწილი და მათზე დაყრდნობით ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ საკუთარი უფლებების დასაცავად პირდაპირ მიმართონ ეროვნულ ინსტიტუტებს, მათ შორის სასამართლოებს. საერთაშორისო ხელშეკრულება, იერარქიულად უფრო მაღლა დგას, ვიდრე საქართველოს კანონი, გარდა კონსტიტუციისა და საკონსტიტუციო შეთანხმებებისა. საერთაშორისო ხელშეკრულებების სამართლებრივი სტატუსი საქართველოს კანონმდებლობაში განსაზღვრულია რამოდენიმე აქტით: 1) საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“. 2) საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ ეყრდნობა კონსტიტუციის მე-6 მუხლს საქართველოს სამართლებრივ სისტემაში საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსთან დაკავშირებით. ამ კანონის მე-4 მუხლის თანახმად საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება არის საქართველოს ნორმატიული აქტი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურსიდიქცია ვრცელდება ყველა სახის საერთაშორისო ხელშეკრულებაზე. საქართველოს ძირითადი კანონის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს“ (89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი). კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-4 პუნქტი ნათლად ადგენს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობა შესაძლებელია შემოწმდეს მის რატიფიცირებამდე. ძირითადი კანონის ნორმაში ვკითხულობთ: „საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების შეტანის შემთხვევაში

დაუშვებელია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების თუ შეთანხმების რატიფიცირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე“. ამ კომპეტენციის სამართლებრივი განსაზღვრება მოცემულია აგრეთვე ორგანულ კანონში საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, რომლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა ან შეთანხმებათა კონსტიტუციურობის საკითხი (მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი).

რადგან საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მისი უფლებამოსილების განხორციელების დროს არ არის კანონით ვალდებული გაითვალისწინოს ევროპული სამართალი და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. არსებობს მაგალითები, სადაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს ისეთ საერთაშორისო სამართლის წყაროებზე, როგორებიცაა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ; ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი; ორჰუსის კონვენცია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და გარემოსდაცვით საკითხებში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სისტემატურად მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპუდენციაზე. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც შეეხებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ განცხადების უფლებას. სასამართლომ დაადგინა, რომ „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ განცხადების უფლება კონსტიტუციურად დაცულია და მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის საქმეზე „ბაიათიანი სომხეთის წინააღმდეგ“, სარჩელის N23459/03).

უცხოური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა (მაგალიად, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, აშშ უზენაესი სასამართლო) აგრეთვე მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისპუდენციაში.

საერთაშორისო თანამშრომლობა: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ორმხრივად თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოებთან და რელევანტურ ინსტიტუტებთან კონფერენციების, ვორკშოპების, საერთაშორისო ვიზიტების, მრგვალი მაგიდის დისკუსიების ფორმატში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის ისეთი სხვადასხვა საერთაშორისოდ აღიარებული ქსელის წევრი, როგორიცაა, ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ევროპის საბჭოს

ვენეციის კომისია); ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენცია; კონსტიტუციური მართლმსაჯულების მსოფლიო კონფერენცია. 2014 წელს ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გახდება ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენციის თავმჯდომარე. შესაბამისად, 2014–2017 წლებში ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონგრესის ფარგლებში დაგეგმილი ყველა მაღალი რანგის ღონისძიებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უმასპინძლებს ქალაქ ბათუმში, სადაც მდებარეობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. აგრეთვე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანამშრომლები იღებენ მონაწილეობას ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის კონსტიტუციური მართლმსაჯულების გაერთიანებული საბჭოს შეხვედრებში.